ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2025 წლის 30 მაისი

ქ. ბაღდათი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ[1]“ და „კ[2]“ ქვეპუნქტების, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 6[1] მუხლის მე-7 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსადგურიდან რეისის გასვლა სავალდებულო არ არის მხოლოდ წითელხევის ადმინისტრაციულ ერთეულში.

მუხლი 2

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში 1 (ერთი) ერთეული ავტოსადგურის განთავსება – ქ. ბაღდათის ადმინისტრაციულ ერთეულში.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ნოდარ გიორგიძე